ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4367207

ნომერი: AR1659237

თარიღი : 04.02.2019

გაცემის თარიღი : 07.02.2019

გაცნობის თარიღი : 11.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , კვარტალი X , კორპუსი N39-ის წინ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კეკელია პ/ნ 01001052309
- იპოლიტო ივანოვის 30

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გეორგი შარიქაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019088902

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 819.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 337.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 991.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 723.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 268.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. .მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში უნდა მიუთითოთ სადემონტაჟო შენობების ნუმერაცია (საკადასტრო გეგმის მიხედვით)

2. .დამკვეთის ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: ასევე შეივსოს ორგანიზაციის და საინდენტიფიკაციო კოდის ველები.

3. .სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .საერთო ფართობი (კვ.მ).: ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი გადამოწმებული იქნას ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების წარმოდგენის და გეგმებზე ფართების დატანის შემდგომ.

4. .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს : განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას; ასევე მოიცავს სადემონტაჟო შენობების აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები, ფასადები და ჭრილები,) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ, აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმას. აგრეთვე ველში აიტვირთოს ყველა სადემონტაჟო შენობის სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.
აქვე გაცნობებთ, რომ ნომენკლატურაში არჩეული გაქვთ მაღაზიის დემონტაჟი, ხოლო სამუშაოთა წარმოების გრაფიკი შედგენილია არსებული სახლის დაშლაზე, ასევე ერთ-ერთ ეტაპად მითიტებულია ეზოს გასუფთავება ეკალ-ბარდებისაგან, რაც წარმოდგენილ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებს არ შეესაბამება. აღნიშნული გარფიკი მოიყვანეთ შენობის ფუნქციასთან და სადემონტაჟო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.

5. საინფორმაციო დაფა - ბანერი.–> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: - წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის შესაბამისად.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა

შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) დემონტაჟის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

6. წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.